

# მთავრობას ეროვნული ბანკი არ ეთმობა

გაზეთი “რეზონანსი” – 11 მარტი, № 066, 2008 წელი

ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა ისევ საფრთხეშია. როგორც აღმოჩნდა, მთავრობამ ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით პარლამენტის მხოლოდ ის შენიშვნები გაითვალისწინა, რაც თავად აწყობდა. პრინციპი კი, რომ ეროვნული ბანკი ისევ მთავრობაზე იყოს დამოკიდებული, უცვლელი დარჩა. დათმობას კი არც პარლამენტი არ აპირებს.

მთავრობა რომ ეროვნული ბანკის დაქვემდებარების იდეას საკუთარი ნებით არ შეეღებო, ცხადია. ახლა მთავარი ის არის, პარლამენტი მთავრობას ამ მიზნის განხორციელების საშუალებას რამდენად მისცემს. აღსანიშნავია, რომ ამ პაკეტთან დაკავშირებით საგანგებო შეხვედრა მთავრობის წარმომადგენლებთან პარლამენტის თავმჯდომარემ რამდენიმე დღის წინაც გამართა. მაშინ ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრას პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე, ფინანსთა მინისტრი ნიკა გილაური, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი დავით ამალღობელი და მთავრობის კანცელარიის ხელმძღვანელი კახა ბენდუქიძეც კი ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე მთავრობის კანცელარიის ხელმძღვანელის ყოფნა, რომელიც სტატუსის მიხედვით ამ შეხვედრაზე ყოფნას არანაირად არ იმსახურებს, მიხეილ მაჭავარიანმა იმით ახსნა, რომ იგი ამ პაკეტის ერთ-ერთი ავტორია. თუმცა, როგორც ამბობენ, მისი აქ ყოფნა არა მისმა ავტორობამ, არამედ პრემიერ-მინისტრზე მისმა გავლენამ განაპირობა. როგორც ამბობენ, სწორედ მისი და გურგენიძის ერთობლივ ინტერესში შედის, ეროვნული ბანკი არ იყოს დამოუკიდებელი.

ნინო ბურჯანაძესთან გამართული დახურული შეხვედრის შემდეგ კომენტარი არავის გაუკეთებია. მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ კონსულტაციები გრძელდება და ვიდრე გადაწყვეტილებას არ მივიღებთ, რაიმე კომენტარის გაკეთება ძნელიაო. თუმცა, როგორც ცნობილია, ეს

შეხვედრაც იმან განაპირობა, რომ პარლამენტი ბენდუქიძის იდეების თუ გეგმების გაზიარებას არ აპირებს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რამდენად შეძლებს პარლამენტი მთავრობის მორევას. არადა, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა რომ პირველ რიგში ქვეყნისთვის არის სასიცოცხლო მნიშვნელობის, ამაზე საუბარიც კი ზედმეტია.

მიუხედავად მთავრობის დაპირებისა, ის საკითხები, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნია პარლამენტს, კანონპროექტში მაინც არ არის ასახული.

ყველაზე არსებითი პრინციპი, რომ ეროვნული ბანკი არ იყოს მთავრობაზე დამოკიდებული, არ იცვლება. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პასუხისმგებელი რჩება ინფლაციის ზღვრული მაჩვენებლის გადაცილებაზე. მართალია, თავდაპირველი სამი კვარტლის ნაცვლად ჩაიწერა ექვსი კვარტალი, მაგრამ პარლამენტის წევრის, ლადო პაპავას თქმით, ეს საშიშროებას ვერ ამცირებს.

„ცხადია, ექვსი სამს სჯობს, მაგრამ ეს მაინც არ არის სწორი, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მაინც არაფორმალურად დამორჩილდეს მთავრობას. ამიტომაც მე ვამბობ, რომ არ მინდა, ჩემი სიტყვა სამგლოვიარო სიტყვად იქცეს და გამოვემშვიდობოთ საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მთავარ ინსტრუმენტს, რომელმაც ამდენი ხანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მოიტანა“, – აცხადებს ლადო პაპავა.

ამ მომენტს განსაკუთრებით ის ფაქტი ამბავს, რომ უცვლელად რჩება ინფლაციის 12-პროცენტიანი ბარიერი, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აგებს პასუხს და ამიტომ იგი მთლიანად ინფლაციის შენარჩუნებაზე უნდა იყოს გადასული. ყველა სხვა საკითხი კი, რაც არანაკლები მნიშვნელობისაა ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შენარჩუნებისთვის, ყურადღების მიღმა დარჩება.

პაპავას თქმით, მთავარი ის არის, რომ მთავრობის მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა შეგნებულად ხდება.

„არ ვიცი, ამას მთავრობა რატომ აკეთებს. მას აქვს დიდი მადა და როგორც ჩანს, უნდა, რომ ეროვნული ბანკი მთლიანად დაიმორჩილოს. ამის

ახსნა მარტივია. მთავრობა მთლიანად ქვეყანას უყურებს, როგორც ერთ დიდ ფინანსურ კორპორაციას. ერთ დიდ ფინანსურ კორპორაციაში კი ყველაფერი ერთ მმართველობას ექვემდებარება და აქ დამოუკიდებელი ორგანოები არ უნდა არსებობდნენ“, - აცხადებს ლადო პაპავა.

ამას ემატება სხვა საკითხებიც, რაც საერთოდ ცვლის ეროვნული ბანკის ფუნქციას და პრინციპში, მას არაქმედითუნარიანს ხდის.

„ისევე ისე მთელი რიგი მუხლები მოდის წინააღმდეგობაში კონსტიტუციასთან. ეს ეხება საზედამხედველო საქმიანობასაც, რაც ერთ-ერთი არსებითი მომენტია. კონსტიტუციაში სწერია, რომ ეროვნული ბანკის ფუნქცია არის ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება. ხაზგასმულია სისტემა. სისტემაში შედის ყველა ბანკი. იქვე სწერია, რომ ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი. დავუშვათ, რომ საზედამხედველო სამსახურმა თავი ვერ გაართვა, ან კორუფციული გარიგება შედგა ბანკებთან. ეროვნული ბანკის წინაშე ეს ორგანო ანგარიშვალდებული აღარ იქნება და ეროვნულმა ბანკმა თავისი რესურსებით უნდა აიღოს ვალდებულება და უნდა გადაარჩინოს ყველა კერძო სამართლის თუ იურიდიული პირები? ამაზე რა კომენტარის გაკეთება შეიძლება?“ - კითხულობს ლადო პაპავა.

ლადო პაპავას თქმით, ისევე პრობლემად რჩება ეროვნული ბანკის საბჭოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დანიშვნის შესაძლებლობის საკითხიც.

„ერთი შეხედვით თითქოს ეს საკითხი არ არის ისეთი საგანგაშო, რაც უკვე ნახსენები საკითხები, მაგრამ დამიჯერეთ, ეს არის სრულიად გაუგონარი რამ. ეს არის უნდობლობა საკუთარი მოსახლეობის მიმართ, საკუთარი ქვეყნის კადრების მიმართ. თუ მაინცდამაინც უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან საჭირონი, მაშინ პრეზიდენტს აქვს უფლება და მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა და მოახდინოს ნატურალიზაცია და მერე შეიყვანოს საბჭოში. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი წევრებს მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არის ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ადის სახელმწიფო საიდუმლოს რანგში. უცხო ქვეყნის მოქალაქეს პრეზიდენტი თუ არ ენდობა ისე, რომ მიანიჭოს საქართველოს

მოქალაქეობა, მაშინ ჩვენ რატომ უნდა გამოვუცხადოთ ნდობა?“ – აცხადებს ლადო პაპავა.

საინტერესოა, რომ ლადო გურგენიძე ამ საშიშროებას არ იზიარებს. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, პაპავა ტყუის და „ეს შეფასება მის სინდისზე იყოს“. საკუთარი პოზიციის გასამყარებლად კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასება მოიტანა.

„უკვე გამოქვეყნდა მათი შეფასება და ისინი აღფრთოვანებულნი არიან ამ პაკეტით. ზოგადად. ცხადია, მათთვის პრიორიტეტულია ეროვნული ბანკი და აქ რაიმე საშიშროება რომ არსებობდეს, ასეთი შეფასებაც არ იქნებოდა“, – განაცხადა ლადო გურგენიძემ.

თუმცა, როგორც ჩანს, მთავრობა პარლამენტს ჯერ-ჯერობით ვერ სჯობნის. პაპავას არგუმენტებს იზიარებს და ასეთივე მოსაზრებები აქვს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი კოვზანაძეს. სხვათა შორის, მან ჯერ კიდევ კანონ-პროექტის პირველი მოსმენით განხილვისას განაცხადა, რომ, თუკი მთავრობა ამ შენიშვნებს არ გაითვალისწინებდა, მაშინ იგი სადაო მუხლებთან დაკავშირებით ალტერნატივას დააყენებდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ჩავარდებოდა მთავრობის ვარიანტი, ვინაიდან, რეგლამენტის თანახმად, ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში კენჭისყრაზე პირველად დგება ალტერნატიული კანონ-პროექტი და ძირითადი კანონ-პროექტი კი მხოლოდ ალტერნატიულის ჩავარდნის შემთხვევაში დგება კენჭისყრაზე.

მართალია, პარასკევს კენჭისყრაზე ალტერნატიული კანონ-პროექტი არ დამდგარა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ კანონპროექტს კენჭი ამ სადაო მუხლების გარეშე ეყარა. მიხეილ მაჭავარიანი კი მთავრობას ურჩევს, გაითვალისწინოს პარლამენტის მოთხოვნა. მისი თქმით, თუკი უახლოეს დღეებში მთავრობა და პარლამენტი შეთანხმებას ვერ მოახერხებს, მაშინ კენჭისყრაზე დადგება ალტერნატიული კანონპროექტი, რომლის მიღების შემთხვევაში შეიცვლება ყველა ის მუხლი, რაც ამ მუხლს უკავშირდება.

## **რუსიკო მაჩაიძე**